# ISA Service Ltd.

35 Saburtalo St, Tbilisi, 0194, Georgia.
Fax/Tel. (995.32) 2910995, 2182228
e-mail: info@isa.ge


30.05.2018 წ

სსიპ "საქართველოს საკანონმდებლო მაცნე"-ს
თავმჯდომარეს ბატონ ნიკა ახალბედაშვილს

როგორც თქვენთვის ცნობილია, სსიპ "საქართველოს საკანონმდებლო მაცნე"-ს და შპს "აი-ეს-ეი სერვისს" შორის ა/წლის 21 მაისს გაფორმდა ხელშეკრულება N2018-52.

გთხოვთ გადმოგვირიცხოთ ხელშეკრულების ღირებულების 50 % ავანსის სახით, ჩვენს მიერ წარმოდგენილი საბანკო გარანტიის საფუძველზე.

საბანკო გარანტია წერილს თან ერთვის.

წინასწარ გიხდით მადლობას.

პატივისცემით
მზია გველესიანი

დირექტორი

საქართველო, შპს "აი-ეს-ეი სერვისი"
GEORGIA "ISA SERVICE" LTD
211384839

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
ს ს ი პ
საქართველოს საკანონმდებლო მაცნე
"01" 06 2018 წ.
№ 1518-619

23.05.2018

BG_1081029 OUT

# საბანკო გარანტია N BG/PB – 6666/05

ქ. თბილისი

გარანტი: სს `სადაზღვევო კომპანია ალდაგი", საიდენტიფიკაციო კოდი 404476189

პრინციპალი: შპს "აი-ეს-ეი სერვისი"; საქართველო, თბილისი, საბურთალოს ქ. 35; საიდენტიფიკაციო კოდი: 211384839

ბენეფიციარი: სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, საიდენტიფიკაციო კოდი 203862622

"ბენეფიციარ"-სა და "პრინციპალ"-ს შორის 2018 წლის 21 მაისს გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულება # 2018-52, რომელიც ითვალისწინებს სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნე-ს ოფისში ქ. თბილისი, ფანჯიკიძის ქ. # 2-ში აეროზოლური ქრობის სისტემის შესყიდვას (CPV35100000). ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად "ბენეფიციარი" "პრინციპალი"-სათვის აწარმოებს საავანსო გადახდას.

მოქმედი კანონმდებლობის და სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების თანახმად "პრინციპალი" საავანსო გადახდის მიღებამდე ვალდებულია წარუდგინოს "ბენეფიციარ"-ს საბანკო გარატია საავანსო გადახდის ექვივალენტური თანხით.

ზემოაღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მოთხოვნის შესაბამისად, "გარანტი" იღებს გამოუწვევად ვალდებულებას ყოველგვარი უარყოფისა და გასაჩივრების უფლების გარეშე გადაუხადოს "ბენეფიციარ"-ს თანხა 2,300.00 (ორი ათას სამასი ) ლარის ფარგლებში, თუ "პრინციპალ"-მა არ შეასრულა "ბენეფიციარ"-თან გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

ანაზღაურებაზე მოთხოვნა "ბენეფიციარი"-ს მიერ წარმოდეგენილი უნდა იქნეს წერილობითი ფორმით, სადაც მიეთითება მოთხოვნილი თანხა და ის გარემოება, თუ რაში გამოიხატა პრინციპალის მიერ ძირითადი ვალდებულების დარღვევა, რომლის უზრუნველსაყოფადაც გაიცა საბანკო გარანტია.

წინამდებარე საბანკო გარანტიის საფუძველზე "გარანტი"-ს მიერ შესრულებული გადახდები, ამავე გადახდების თანხით ამცირებს საბანკო გარანტიის თანხას.

გარანტია ძალაში შედის ზემოაღნიშნული საავანსო თანხის სს "თიბისი ბანკ"-ში "პრინციპალი"-ს ანგარიშზე #GE75TB7996636020100004 ჩარიცხვისთანავე და რჩება ძალაში 2018 წლის 30 აგვისტოს ჩათვლით.

საბანკო გარანტიის მოქმედება წყდება: 1. გარანტიის ვადის გასვლით; 2. გარანტიით გათვალისწინებული გადასახდელების "ბენეფიციარი"-სათვის გადახდით; 3. "ბენეფიციარი"-ს მიერ თავის უფლებებზე წერილობითი ფორმით უარის თქმით და გარანტისათვის საბანკო გარანტიის დაბრუნებით.

წინამდებარე გარანტიის გაცემის საფუძველია გარანტსა და პრინციპალს შორის 2017 წლის 23 ივნისის გაფორმებული გენერალური ხელშეკრულება საგარანტიო მომსახურებაზე N BG/PB/GA – 6338/06

სს "სადაზღვევო კომპანია ალდაგი"
გენერალური დირექტორი: _____ გიორგი ბარათაშვილი

ალდაგი
№1
404476189